

ლეილმაჯნუნიანი

(შესავალი)

1

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემლობით,
არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით,
მომეც გონება მე ვიყო მადლობის შემწირველობით,
ხელეწყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით.

2

მეშინის, ვა, თუ სოფლისა ცუდმან ზრუნვამან გამირთოს,
ნივთთა უკანა დგომამან სული ცეცხლზედა წამირთოს,
სიტყვა უქმისა პატიჟმან ჭირნი ჭირზედა დამითროს,
პეტრეს სამოთხის გაღებად კლიტე ვერავინ წამირთოს.

3

სიბრძნე ხამს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შვებანი.
უკლებლად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი,
არვინ იკითხავს წიგნებსა, შესწყინდეს ცუდად დებანი,
მას არვინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდ-მოდებანი.

4

სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი,
მძიმეა ენა ქართველთა დ ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი,
მათ შეწმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მბობანი,
აწ გამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა-მკობანი.

5

ლეილ-მაჯნუნის ამბავსა შიხ სადის დავეცილები.
არაბეთს, ლაზა ქალაქად, იყვნენ მეფეთა შვილები,
ერთ ღამეს იშვნეს ორნივე, ჯერ ვარდი გაუშლილები,
განათლდა იგი ადგილი, აღარსად იყო ჩრდილები.

6

პირ-მეტყველთა მარგალიტთა მათ სადაფი აღმოშობდეს,
კრონოს, ზევსი, ოტარიდი სინათლეთა მათ უძღნობდეს,
მუნა მყოფნი პირ-მთვარენი იმღერდეს და თამაშობდეს,
-მძზე და მთვარე დაჯუფთილან, მათგან არსონ - ამას ხმობდეს.

7

მათ ბეობა გარდიხადეს, ორგან იყო სიხარული,
ორმოც დღესა ლხინი ჰქონდათ, ვის მოუვა თვალთა რული?
ამას გვანდა დ მას ქალაქსა სევდა არის დაკარგული,
არ იცოდენ, ბოლოს ჟამსა მათ დასწვევდათ სიყვარული!

8

ვაჟი ჰგავს ლომის ნაკვეთსა, ქალმან ისწორა მზე არა,
აღვის ნაკვეთმან მნათობთა შვენება გაუზიარა.
მოუსხეს ძიძა ორთავეს, თქვეს : მარამც მოემშია რან.
თუ თვალად ტურფა არ იყვის, ვაჟმან მოწოვის რძე არა.

9

გაკვირდეს ვაჟის საქმესა მოყვასნი დედ-მამიანად,
თქვეს, თუ: მრად არჩევს ლამაზსა, რად არის ასრე ჭკვიანად?ნ
მესტროლაბენი აწვივნეს, მუნაჯიბ-მერამლიანად,
ჰკითხეს: მგვითხარო, ვით იყოს ყმა ეს დოვლათ-სვიანად?ნ

10

ქვიშას არჩევენ, რამლსა ჰკვრენ, ჰქონდათ ვარსკლავთა თვლილობა,
იკითხვენ, წერენ, არჩევენ - აქვთ დიდი გამოწვლილობა,
ეტლები რომელს ბურჯზე დგას, ქნიან ამისი ცილობა,
ღმერთს შესტირიან მშობელნი დ ყმას ჰქონდეს დღეკეთილობა.

11

მუნაჯიბთა ცნეს ბოლო ჟამს საქმე მის ყმისა ყოფილი,
თქვეს, თუ: მიქნების ჭაბუკი მისებრი არვინ შობილი,
სიტურფეს ხედავთ ყოველნი, მზე შექმნა შუქ-გაყოფილი,
სურვილის ეტლზედ შობილა, ემყი აქვს გულს შეყოფილი.

12

ეს გამიჯნურდეს ამგვარად, სხვა ყოფილიყოს აროსა,
სხვათა მიჯნურთა ხელობა მან თავსა არ აკმაროსა,
სრბით განველტოდეს სამყოფთა, თავი მხეცთანა აროსა,
მაშინ ცნან, ვინცა აწ ჩვენი სიბრძნენი გაიკმაროსან.

13

ესე თქვეს, ადგეს ყოველნი, წამოსვლა რადლა გვიანეს?
გახარებულნი მშობელნი დაჰმუნდეს, დანაღვლიანდეს.
დედა ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა დანამიანდეს,
თქვეს, თუ მეგების რა იქნასნ - თავნი ღმერთსავე მიანდეს.

14

ორთავეს ზრდიდეს სათუთად, ვითა ღირდა და ჰშვენოდა,
მთვარესა ზედან შეწყობით ყორნის ფრთა-ბოლო ჰშვენოდა,
მუნ ათას ფერთა ყვავილთა წალკოტი მოეშენოდა,
მათსა ვერ მჭვრეტსა ლახვარი გულსა უწყალოდ შენოდა.

15

ოქროს ტაშტშიგან ბანდიან ვარდის წყლით ერთგან ჩვილებსა,

რწყევდიან გასაფურჩნავად ვად-კოკობ გაუშლილებსა,
ათამაშებდენ ბალშიგან ორთა მეფეთა შვილებსა,
მათ პოწის ფერთა ღაწვზედან წამწამი დაუჩრდილებსა.

16

ვაჟი მონათლეს სუნათი, უყვეს რჯულისა წესითა,
სრულა შემოკრბეს არაბნი სალხინოდ, არა კვნესითა,
მის მეჯლისისა საქებრად სიტყვა მოვილო მე სითა?
მათ დასაწვავად სოფელი ცეცხლსა უგზებდა კვესითა.

17

ვაჟსა დაარქვეს ყაისი, ქალსა ლეილი უწოდეს,
აწ ამას იქით ორთავე ცეცხლითა გული უწოდეს,
ნარგიზთა შავი ლახვარი, საკვდავად გამოუწოდეს,
იტყოდეს: მწიგნი ვასწავლოთნ - სასწავლოს მალ მიუწოდეს.

აქა მაჯუნისა და ლეილის სასწავლოში მიყვანა

18

შვიდისა წლისა შეიქმნეს, ალვის შტო ლამის ახევდეს,
მოლას მიჰგვარეს, შეჰვედრეს, ტირილით, სულთქმით ახევდეს;
იკითხვენ ვითა ბულბული სურის, თუ ვარდსა ნახევდეს,
მელნის ტბა მათთვის საჩრდილოდ წამწამსა გრეხდეს, მახევდეს.

19

მათ მნათობთა ერთი იყო ნათესავი, თესლი, გვარი,
ახლო იყვეს მეზობელნი, ძმათა შვილნი განაყარი;
ლეილიცა მოიზარდა დ ალვა, აღმა ანაყარი,
განგებითა იგიც იქმნა მას მოლასთან მინაგვარი.

20

ბერი იყო იგი მოლა, ბრძენი, ერთობ მონახული,
ორნივ ნახა, მოეწონა იგი უცხოდ დასახული,
თქვა: მვინ ნახა ამათებრი დედის მუცლით ჩასახული?
აწ განათლდა სახლი ჩემი, დარბაზი და მერმე ხულინ.

21

მაჯუნნი ხელსა დაარქვეს, სახელი ყმისა ყაისო,
მაქთუბში ნახა მისი მზე, გულსა ლახვარი დაისო,
ეტლსა ეტყოდა: მესე სჯობს, ლეილი გულსა დაისონ?
ფიცევდა: მარად სახმარ არს- ვარდსა ნუ გაშლი, მაისო!...ნ

**შეიტყობა მოლისაგან მაჯუნისა და ლეილის
მიჯნურობისა და მათი გამოგდება**

26

ვეღარ მაღავეს იგ სურვილსა, მაჯუნუნს ცეცხლი მოეზოლა.
რა შეიტყო მიჯუნურობა, გაგულისდა მეტად მოლა,
შეიპყრა და სცემდა მწარედ, უნდა თუმცა დაექოლა,
თქვა: მმოგვკლევდი უსაცილოდ, თუ ყმა იყოს ჩემი ქოლა!ნ

27

ყმა გააგდო, ესრე უთხრა: მგამეცალე უჭკვო, ხელი!ნ
ქალი დედას მიაზარა, ხმა გავიდა ავ-სახელი;
ლეილისა დედ-მამათა სწავს სირცხვილთა ცეცხლი ცხელი;
მაჯუნუნს მიხვდა გაყრის ჭირი გულსა სენად მოულხენი.

28

დედა ეტყოდა ტირილით ქალსა: მრა მიყავ, შვილო, და,
თავი მომკვეთე, გამხადე არაბთა სასაცილოდა,
შენი შერცხვენა ვით გავსძლო!ნ - თვალთაგან ცრემლსა მილოდა დ
მშენც მოგვლავ, თავსაც მოვიკლავ, იცოდე, უსაცილოდა!ნ

29

მჯერ ქალი ხარ გაუწვრთნელი, შენ ვინა და ემყი ვინა!
შენებრ შვილმან უწვრთნელომან დედ-მამანი მოაყივნა,
საყვედურთა ენა მკვეთმან დამჭრა, გული გამისივნა,
რად გაგზავნე სასწავლოსა, არ გამყოფე ჩემსა წინა!ნ

30

მეთქვით: მოგვესწრა ჩვენ ასული, ალვის ნორჩად გვენაყოფის,
პირად მზე და ბაგე ვარდი, ჩვენთვის ლხინად ეს გვეყოფის,
მისცეთ ვისმე შესაფერსა, ჭირნი შუა გაგვეყოფის;
დაიდრახე, მოგვაყივნი, თავი არსად გაგვეყოფისნ.

31

ქალმან უთხრა მას პასუხი ტურფა რამე, არა ცუდი,
ჰგვანდა დ ჰხმობად საფირონი პირსა მისსა დანაბუდი,
თავს მართლობდა უცხოდ რასმე, მართალს სჯობდა მისი მრუდი,
ღონეს რასმე ედებოდა, იგ არ გატყდა, ვითა ქურდი.

32

მვიცი მიწყრები, დედაო, მე შემცოდე ვარ, თურევ, და,
მიბრძანე: ემყი რა არის, ხმელზე დგას, ანუ ცურევ და,
ფრინველია თუ ნადირი, ფერად თეთრი, თუ მურევ და,
ხილი არის, თუ ყვავილი, წალკოტსა შიგან ურევ და?ნ

33

მამბობთ რასმე, ვერ მივხვდარვარ, თუ რას ჰქვიან მიჯუნურობა,
თქვენ გამგზავნეთ სასწავლოსა, აწ ვით მექნა მე ურჩობა?

თუ ყმამ რამე დააშავა, მოკლან დ არ ვქნა მე სარჩლობა;
ამის მეტი არა ვიცი, გამიბედოთ მე დარჩობან.

34

დედა შესჯერდა ასულსა, სიტყვასა ზედან ტკბილებსა,
უკვდავებისა ბაგეთა აკოცა თეთრსა კბილებსა,
რამცა ეცოდნეს ყმაწვილსა ჯერ ვარდსა გაუშლილებსა!
ქმართან ამართლა, ეტყოდა: ნულარ ვღვრით ცრემლთა მილებსა.

აქა ამბავი მაჯნუნის ველად გაჭრისა და მიჯნურობისა

35

ამას იქით ლექსთა სიტყვა სხვას ამბავზე მოკიდულა,
მაჯნუნისა გულსა წყლულსა ცეცხლი ცხელი მოკიდულა;
მან ლეილი ველარ ნახა, თვალი ვერსად მოკიდულა,
გლახ, მოუნდა ველად გაჭრა, მხეცთა მოყვსად მოკიდულა.

36

ტირს, იძახის, ვითა ხელი, ჭკვა დაკარგა, სრულად ცნობა,
ვინმე აჩვენოს მისი მკვლეელი, ან ამბავი ვინ აცნობა?
ან შეეტყო მისი რამე დ არა ჰქონდა მისი ფლობა,
მას სდიოდა თვალთა სისხლი, ცრემლთა ლამში მიეფლობა.

37

მდამეკვეთა შენი ნახვა, აწ მე რა ვქნა, ჩემო მზევ და,
ცრემლით სველი უბე-კალთა არაოდეს გამიმზევდა,
სული მორბის სწრაფით მანდეთ, გული კრული შენკენ მზევდა,
რადგან თვალნი ვერა გჭვრეტენ, ხამს დაბნელდეს, რადღა მზევ და!ნ

38

მას სიცოცხლე აღარ უნდა, მოიცალა სულთქმა-კვენსად,
ქვად შეჰქნოდა გული, ტალად თვით აბედი, ეშყი კვესად,
ჰკიდავს ტვირთი სურვილისა სხვათ მიჯნურთა უმძიმესად,
იტყვის: მმომცა ბედმან ხელქმნა, აწ გავიჭრა, ნეტარ, მე სად?ნ

39

მიირბენდის სასწავლოსა, სად ენახა მისი მთვარე,
ტიროდის და თავს აწყვეტდის, მას სიცოცხლე ჰქონდა მწარე,
იგ უებრო სიყმე, სიმხნე მისთვის იყო მოუხმარე,
შესტიროდეს დედ-მამანი: მჩვენ დაგვხოცენ უწინ, ბარემ!ნ

40

მივიდოდის მას ადგილსა, სად ორთავე ეთამაშა,

იგ ჰკოცნიდის იატაკსა, სად მას ფეხი დაემაშა;
იგლეჯოდენ დედ-მამანი, სხვა რა ექნათ, ნეტ არ, მამა?
არ უსმენდის იგი ხელი, რომე სიტყვით დაემაშა...

მაჯუნისათვის ლეილის თხოვან

49

ტირილითა შესჩიოდეს მეგობართა, თვისთა ტომსა:
-მვეწივენით წყალობასა ჩვენ ღვთისაგან თუ რაზომსა,
შვილი მოგხვდა, ჩვენ უჭვრეტლით პირსა-მზესა ვეფხებრ მხტომსა,
გამიჯნურდა, ველად გარბის, ველარ ვხედავთ სახლად მდგომსან.

50

მაწ გვიშველეთ, გვარგეთ რამე, ვის ღმერთი გწამს ცასა მყოფი,
საქმე რამე მოგვიგვარეთ, ვირ ყმა იყოს ჰკვასა მყოფინ.
ნუგეში სცეს, სიტყვა უთხრეს ჭირთა შუა გასაყოფი:
- მნუ ინაღვლით, აწ მივიდეთ, სად მზისაა სრა-სამყოფინ.

51

მჩვენ წავიდეთ, ქალი ვსთხოვოთ ამა ყმისა შესართავად,
ვინ მნათობთა უტურფუა უკაზმავი, მოურთავად,
ყმისა სწორი არვინა ჩანს, გვარად ერთ ხართ, არ თავ-თავად,
მოვიჭირვოთ, აღარ ვიყვნეთ ჭირსა ჭირზე დასართავადნ.

52

კარს მიუდგენენ მოციქულნი ლეილისა დედ-მამათა,
მოეგებნეს, ტკბილად დახვდეს, ვით ვთქვა ქება მაემანთა!
იგონებდეს, მზისა თხოვნას თუ რას სიტყვით შეემართა.
სცნათ ბოლო-ყამ სოფლისაგან, რაც მათ ქალ-ყმათ დაემართა!

53

სიტყვა ბრძენთა მოციქულთა საქმე ვითმცა დაემროდა!
სთხოვეს პირ-მზე ქალი, ვისმცა ალვა ტანად დაეზროდა,
ეტყოდეს, თუ: მმზე არ მიხვდეს ყმასა, ვარდი დაეზრო დან,
იგ უფასო მარგალიტი ხერხით უნდა დაემრო და.

54

ეგზომ ყმასა უებროსა ქალი ვისგან დაეჭირა!
სხვა აუგი არა სჭირს რა დ ეშყი გულსა დაეჭირა,
ნარგისთაგან მას ლახვარი ეცა გულსა, დაეჭირა,
მაშინ უნდა შველა-რგება, როდეს კაცსა დაეჭირა.

55

უპასუხეს: მყმას ვინ სწუნობს? დ ვიცით მისებრ არავინა,
საქმე გვიყო სათაკილო, საჩივარნი მოგვამჩივნა,

მისგან ეგზომ ხელობამან ჩვენ ასული მოგვიყივნა,
სრულ აგვავესო სირცხვილითა, ჩვენ გვავენო და თვითცა ივნონ.

56

მაწ ჩვენ მივსცეთ ყმას ასული, თულა ცნობა მას ედების,
თვარე ხელსა როგორ შევრთოთ? მასცა რამე გარდედების!
ჩვენ დაუვსოთ იგი ცეცხლი, რომელიცა მას ედების,
შეიყარნენ იგ მთიებნი, ყელი ყელსა გარდედებისნ.

57

წამოვიდეს მოციქულნი, მათ ხედვიდეს მოცინართა,
თქვეს: მჟამად გვაქვს ვარდთა კრეფა, რად ვამოყვსოთ ხელი ნართა!ნ
ყაისს უთხრეს: მნულარ ხელობ, ღმერთმან საქმე გიწაღმართან.
მან ნარგისი მოცინარ-ყო, ალვა აღმა აემართა.

მაჯნუნისა და ლეილის ქორწილი

58

მიიყვანეს ყაის სიძედ, მოყმე ტურფა, შვენიერი,
მხოსროს თვალად, ფარჰადს ძალად ესე სჯობსონ, ხმოზდა ერი,
თქვეს: - მასეთი ხორციელი არ ნახულა მიწიერინ.
ცუდი იყო ყველა მისთვის, ბედი ჰქონდა შენამტერი.

59

სრულ არაბთა დედაწულნი საქორწილოდ მოწვეულა.
ქალი ნახეს, თქვეს, თუ: - მჟამად ვარდი გაშლად მოწეულა,
განაღამცა მისთვის ხელთა გული ცეცხლზე მოწვეულია,
ბურავს ლალი მარგალიტსა, ზედან ტურფა მოწეულან.

60

მას უჭვრეტდენ ბანოანნი გაკვირვებით, განამკრთალად,
პირსა მზესა უებროსა შავი ინდი აჯდა ხელად,
ზედ თვალ-წარბი გარდაშლოდა შავად რამე დ არ თუ მქრქალად,
ფიცვენ: - მმზისა უნათლეა, მგონი კმარა რძლად და ქალადნ.

61

გარ უცევდა ზანგთა რაზმი, მელნის ტბები დ თვალთა მორვად,
ვინმც მოურჩა მჭვრეტთა გული დაუჭრელი, დაუმორვად?
შვიდი არის მნათობთ რიცხვნი, აწ მით იქნას, მგონი, მორვად,
ვთქვათ ციერთა მისი ჯობნა, არ თუ ვიყვნეთ დაუმორვად.

62

შინ მას ახლდეს პირ-მთვარენი, გარ ყრილობა იყო ერთა,

უნდოდათ თუ უებრონი იგ ქალ-ყმანი შეეერთა,
არ ინდომა შემოქმედმან, მას წყალობით არ უღმერთა,
ბედი უნდა საქმის მოსვლას ყოვლთა კაცთა მიწერთა.

63

სრულ მოაწვიეს არაბნი, თქვეს: მგავათხოვეთ ქალიონ,
შარბათი სვეს და დაასკვნეს დ ყმას მისცეს ბროლ-ფიქალიო.
ქებინის წიგნსა იკითხვას, მოლამ ახსენა ალიო,
ყმას აღარა აქვს სრული ჭკვა, რეტად მიმოაქვს თვალიო!

ქორწილით გამოგდება მაჯუნისა

64

მეჯლისში სხენან, ლხინი აქვთ დ სამოთხეს მიუდარობდა,
ყმამ იცნა ქალის გოშია, ჰკოცნის, პირს პირზე არობდა;
გაკვირდეს, თქვეს: მაქვს ქორწილი, ძალღს ჰკოცნის, რასა ჩქარობდა;
შვილი ვით მივსცეთ შემცდარსა?ნ - კარში გააგდეს, გარობდა.

65

აიშალა ქორწილობა, სიხარული გახდა ზრუნვად,
გამოაგდეს, გლახ, მაჯუნნი, ლამის ცრემლში გასაცურვად,
ლეილსაცა კაემანი შეეყარა გულსა ურვად.
ვინმცა მორჩეს ბოლო ჟამსა სოფლისაგან დაუმდურვად!

66

მაშინ გაიჭრა მაჯუნნი, ველად მირბოდა, შინ არა,
ვარდს ველარ მიხვდა საკრეფლად, ხელთა ეკალი ინარა;
უკან მისდევდეს მშობელნი პირს სისხლი ჩამომდინარა;
მისთვის დაბნელდა საწუთრო, მზემ შუქი გაუჩინარა.

67

მოკვდა მამა მაჯუნისა, რა გაჭრილი ნახა შვილი,
ლეილისა დედ-მამათა მარტო დარჩა იგ ადგილი,
მათი იყო იგ სამკვიდრო, სხვა ვინა ჰყავ შემაცილი?
დარჩა დედა საცოდავად, ბედისაგან წახდომილი.

68

ლეილმან სხივთა სინათლე მაჯუნის გულსა უდარა,
მანცა დამეტა მიჯუნურთა, ხელობა ვერვინ უდარა;
ველად გაიჭრა, ფრინველნი თავზედან დაიბუდარა,
ნება-უპოვრად სრულ იქმნა, გარე მოერტყა სუდარა...

ლეილის საზაფხულოდ იალაღზე წასვლა
და

მანჯუნის ნახვა

73

ჟამი გარდახდა ზამთრისა, ზაფხულმან იწყო ცხელობა.
იტყოდეს: მავმან ჰაერმან ქალსა არ უყოს წყენობა!ნ
ახლო მთა იყო მაღალი, სად მაჯუნს ჰქონდა ხელობა,
დამით მიყვანდათ კუბოთა, რა დღესა ექნა ბნელობა.

74

ქალის ქეჯაო დედისა აქლემს მოაბეს ძუასა,
თოკი შესწყდა და გზას დაცდა, აქლემი გაჰყვა ძოასა,
ხოჯები ძილსა შეეპყრა, განშორებოდეს ჰკუასა,
ქალსა ძინავს და აქლემი ბრუნავს მინდორთა შუასა.

75

მუნ თურმე იყო მაჯუნნი ხელქმნილი ცეცხლთა დებული;
თავსა წაადგა აქლემი ქალითურთ აკიდებული,
გვანდა ზეგარდმო განგებით სამისოდ მივლინებული,
მხეცნი გარ შემოსწოლოდეს, ერთზე თავი აქვს დებული.

76

თვალნი აახვნა გულ-წყლულმან, შუქი მოადგა მთვარისა,
მხეცნი დაფრთხეს და მიმართეს, მუნ იყვეს მისვე არისა,
მაჯუნნი ფეხზე წამოდგა, ყივილი ესმა ნარისა,
თუ რასმე უმასპინძლებდა, ეს მისთვის სტუმრად კმარისა.

77

ლეილმან იცნო მაჯუნნი, ხელმან ვერ იცნა ჰკვისაგან,
მისი ეშყი და სურვილი უმძიმეს ედვა ქვისაგან,
ეტყოდა: მვინ ხარ? რა გინდა კაცისა გაჭრილისაგან?ნ
-მშენ ვისთვის ჰკვდები, იგი ვარ!ნ - ესოდენ ესმა მიზსაგან.

78

ქეჯაოდამე გარდახდა, ეტლი დააგდო მზემან და,
ეტყოდა: მმე ვარ ლეილი, აწ შენთვის მოველ მე მანდან.
რა ესმა, დაბნდა, დაეცა, ბედმა გაწირა, სვემან და,
სულნი გაექცნეს, გვამს ეტყვის: მმე წავალ, იდევ ქვე მანდა!ნ

79

თავი კალთაში ჩაიდვა, სახლით ცრემლსა სწმენდს ხოცებით,
ეტყოდა: მადექ, წავიდეთ, ხადუმნი მოვლენ ოცებით,
მე შენი ვარ და უდროოდ რასათვის დავიხოცებით?ნ

მას არა, დია, შეესმის არ ცხადივ, არცა ოცნებით.

80

ცნობად მოვიდა მაჯუნნი, სხივნი უშლიან მზერასა,
ვეშაპისაგან ტყვე-ქმნილი გამოუშვია მზე რასა?
თქვა: მარ ვემდურვი ამაღამ ჩემსა ბედსა და წერასა,
მაგრამ დამშლიან კავშირნი, მაჯა ველარ იქს ძგერასან.

81

ქალი ეტყოდა ტირილით: მცუდად ნუ ჰკვდები ხელობით,
სხვანიც ყოფილან მიჯუნური, არ შენებრ მოუთმენობით,
შენ ჩემი ხარ და საკუთრად მეც თავი დამიც შენობით,
ვინემდის სცნობდენ ქოჩარნი, მე წამიყვანე შენობითნ

82

მაჯუნნი ეტყვის: მვისმინე ჩემთვის სალხენი ბრძანება,
რა დაიბადე სოფელსა, ციერთა ექმნა ღამება,
ვირ ცოცხალ ვიყავ, არ მომხვდა, მზეო, შენთანა ამება,
არა მიმაქვს რა სოფლისა ესოდენ შენთვის წამებან.

პოვნა ხადუმთაგან ლეილისა და მაჯუნუნისა
ერთგან მსხდომისა

83

ვერ გაუვა თქმად მელექსე ჭირთა მათთა ნაათალსა.
დაეძებდენ იგ ხადუმნი მას მნათობსა პირ-მზე ქალსა,
სირბილითა მოჰყვებოდნენ აქლემისა მონაკვალსა,
ზედ მოადგეს ღამე ბნელსა მას შუქთაგან დაუმალსა.

84

ნახეს ხელი ხელქმნილისა თავი კალთას მიდებულად,
გაგულისდეს, მათ შეექმნათ გულსა ცეცხლი მიდებულად,
შავთა ხელი მას მნათობსა უკმოზიდნეს კიდებულად,
გამოყარეს, ამაღ ჭირნი ჭირზედ ექმნათ მიდებულად.

85

მოახსენეს: მგვიკვირს, მზეო, ხელსა გვერდით რასა ზმიდი,
შენ გემებენ ხელმწიფენი, ეგრე რასთვის გაადვილდი?
ჩვენ დაგვხოცენ უბრალოთა, სისხლი რისთვის აიკიდი?
მათ რა უთხრათ ჩვენ პასუხი, შენ უბრძანე, ეგრე მიდინ.

86

მან პასუხი ვერა გასცა, ცრემლთა ღვარსა ჩამომილდა,
ვერა თქვა რა ამაყური, მათზე სიტყვა დაურბილდა;
- ეგ მმომკვდარა, ხედავთ ჩემთვის, მე თუ ვნახო დ რას გიკვირდა!ნ
ხმა წაუხდა იადონსა, რა იგ მაღლა ამოტირდა.

87

გლახ, უწყალოდ, სასიკვდინედ მაჯუნუნს ლახვრით მიეშინა.
ვერ მოჰკიდე, ვერც დაკოდეს, მათვე უფრო შეეშინა,
გარეთ ხირღაც ვერ გაუჭრეს, არ თუ რამე ევნო შინა,
ცუდ-მამვრალნი უკმოზრუნდეს, ხლმის ქნევამა ააქშინა.

88

კუბოს ჩასვეს, ჩამოზურეს, შუქი მზისა ღრუბელს შევა,
ღაწვნი დ ლალსა, ბაგე დ მოწსა უგავს, შიგ არ დაერჩევა,
ქალისგან სამკაული მათთვის ქრთამად დაერჩევა,
- მნუ იტყვითონ,- გამოულო; მათ შეექმნათ შიგნით რჩევა.

89

მიიყვანეს დედესთანა, მას მიჰგვრიან დაკარგულსა,
თქვეს, თუ: მაქლემს დაეწყვიტა, ვპოვეთ მინდორს შუაგულსა,
გაშლილიყო თოვლზედ ვარდი, ზროდ ჰგავს ალვა დანერგულსან.
მნელი ჭირი გარდეკიდა მაჯუნუნს გულსა დადაგულსა.

ტირილი და მოთქმა მაჯუნუნისაგან

ლეილის გაყრისათვის

90

რა მაჯუნუნსა უნებლიედ იგ მნათობი გაეყარა,
ზაფრანაზედ ხოვრიელად სისხლის ცრემლი დაეყარა;
რა წაჰგვარეს სულთამდგმელი, სულთ ამოსვლად წაეყარა.
დაბნდა, იქმნა, ვითა მკვდარი, ხორცთა თრთოლა შაეყარა.

91

მობრუნდა, მოთქვა საბრალოდ მისი ბედ-უბედობანი,
მიწისა ხორცმან ვით გაძლო სახმილში გამოდნობანი!
თქვა: მუკურნებლად დამდგარა შავთა წამწამთა სობანი,
მზემან მიმრიდა ხელქმნილსა, მეწივნეს ვარდთა ზრობანინ.

92

იტყოდა: მვფიცავ, ჩემი მზე მზისაგან უფრო დარევდა,
ქვე ამან მისცა სინათლე, იგი ზე ცუდად დარევდა,
ზროდ ალვა, ფერად ბროლ-მინა მასთანა სრულად დარევდა,
ნარგისი გულსა ტყვე-ქმნილსა ეგრე, ვით უწყლად, დარევდან.

93

თქვა: მძიმეფარა ნათელი, ჩემთვის საწუთრო ბნელოდა,
ცოტა უკლია ჩემთვის მზე სწრაფით ჩასვლასა წვერობდა,
მე მიყო საქმე სოფელმან, რაც მის საქმესა ჰფერობდან.
მიწად მიმღები არა ჰყვა, არ თუ სიკვდილსა ძნელოდა...

აქა სიკვდილი ლეილისა გაუხარებლად

184

გამოვიდა ხანი რამე, წელიწადი, გინა თვებ და,
ბედი კრული დასაწვავად მათთვის ცეცხლსა აანთებდა,
აწ გამტვერდეს მიწაშიგან, ვინ ხმელეთსა ანათებდა,
საქმე უყო მათ სოფელმან, მის სიმუხთლეს რაც მართებდა.

185

ძილად იწვა ტახტსა ზედან ბროლის კოშკსა შიგან ბროლი,
გლახ, მშობელი გვერდთა უწვა ზედ დამთრთოლი, დანამკრკოლი;
შეკრთა, ნახა მან სიზმარი, იქმნა მისგან დანაბრკოლი,
აწ დაშრტების იგ სანთელი, სიკვდილისგან დანაქროლი.

186

დედა ეტყვის: მშვილო, რა გჭირს, რამ შეგაკრთო, რა გეზმანა?ნ
ქალი დაბნდა, გარდაიქცა, მას დაესვა გულსა დანა,
მას ასხემდენ ვარდის წყალსა, უნდათ სულად მოეყვანა,

ყაყაჩო და არღავანი, მოწი ქარვას დაეგვანა.

187

მოზრუნდა, სულად მოვიდა, მაგრამ საბრალოდ კვნესოდა,
ვინცა უჭკრეტდა, ტიროდა, გულს ცეცხლი დაეკვესოდა,
თქვა, თუ: მძე წარვალ, ჩემებრი ვნახო. ვინ დაეთესოდა,
მოდი, სიკვდილო, აწ ჩემთვის სიცოცხლის უკეთესო და!ნ

188

თქვა: მსიზმრად ვნახეთ მაჯნუნი, იგ სულთ ამოსვლად მდებარე,
მან სიტყვა მითხრა საბრალო, გულს ცეცხლი მოსადებარე:
მშენცა წამოდი ჩემთანა, ნახე, რომ მივალ მე, ბარე!ნ
- აწ მეცა მივალ მიწასა, მომზადენ ჩემთვის მებარენ.

189

დაიწყო ლევა დღივ და ღამ, მთვარე გავსილი ცხრებოდა;
მკურნალნი შეკრბეს, სწამლობდენ, მაგრამ მას არა რგებოდა.
შეიჭირვებდენ არაბნი, ყველა მუნ შემოკრეფოდა,
შავთა მშობელთა თვალთაგან მთიები გაუქრებოდა.

190

აწ ამას იქით ამბავი თქმად ეძნელების ენასა,
მოუცავს, ვითა წყვიდადსა, გული ურვისა წყენასა,
შედონებულა ეგ ზომსა თვალი ცრემლისა დენასა,
პირი შეკრულა სათქმელად, ყურნი გაეცნეს სმენასა.

191

ვა, მოკვდა პირ-მზე ლეილი, სოფლისა შვენეირება,
თვალნი დაბნელდეს მელნისა, ვინ გიშერს მიეფერება,
შავნი წამწამნი მჭვრეტელთა გულს ველარ დაემგეება,
წარბისა ტევრი ბროლზედან ორივ, გლახ, მოემტვერება.

192

ელვა, სხივნი და ციმციმნი, შუქისა მოვანებანი.
მისნი სანდომნი ჰაერნი, ღაწვისა ფეროვნებანი,
ბაგისა ტურფა ღიმილი, შიგ მარგალიტთა კრებანი,
ხმა დადუმდების ნარნარი, სიტყვა ტკბილ, ვითა ებანი.

193

რა ბრალია წასახდენლად თმა გიშერი, შავნი, ხშირად!
ამბარ-ზილფი დაფანჩული, მიგრეხილი მოგრეხილად.
იგ უებრო დახატული, ცხვირი სოთი ბროლის სტვირად,
ფერად პირი ზამბახისა, შავი ხალი ზე დაყრილად.

194

ყელი, ვით სვეტი ბროლისა, გარ თმათ მოხვევით გროება,
ძუძუ და მკერდი დ ქალალდი, ხორცი დ ვით ფიფქი თოება,
საწუთროს მანათობელი სოფელსა დაეთხოება,
ქვეყნად არ იყო მისთანა, იგ ზეცად თუ იშოება!

195

თითნი, ვით თეთრი სანთელი, გულზედან დაეკრიფოდა;
დაჭკნა სამოთხის ყვავილი, ვერვისგან მოეკრიფოდა;
წმიდად წავიდა, უმანკოდ, შოვნად ვის ხელეწიფოდა?!
თუ კი დასწვევდა მშობელთა, ნეტამც არ მოეწიფოდა!

196

ალვისა ნორჩი, უნუჟო დაეცა, გარდაიქცეოდა,
ეგრე ნაზად და უსულით სხვა მისებრ ვინ იქცეოდა?
ვა, წალკოტს მისი გემტი და ბაღჩას რომ მიერხეოდა!
აწ ნახეთ მისთვის არაბეთს, რა ცრემლი დაითხეოდა!

197

რა მშობელთა შვილი ნახეს სულთ ამოსვლა, თვალ-დახურვით,
თქვეს: მდავიცეთ გულსა დანა, ცეცხლსა, კლდესა მივაშურვით,
ჩვენ დაგვექცა ცა-ქვეყანა, ვით გაუძლოთ ცრემლსა წურვით,
ვის არ უმძიმს საქმე იგი, ვინ არ იყო მისთვის ურვით?ნ

198

დედა პირზე დაეკონა, ვერ აჰხლიჩეს დაბნედილი,
მამა ფერხთა ეხვეოდა, იგ საბრალოდ გაგლეჯილი:
- მრად დაგვყარნე სიბერის ჟამს, შვილო, სანთელ დაშრეტილი?!ნ
შეყრილყო ყოვლი სული, მოსდიოდა ცრემლთა მილი.

199

მობრუნდა, თქვა: მჯერეთ, შვილო, ვინ სიკვდილი, ვინა შენ და?!
მიწისაგან სრულად ნათლად აგრე ტურფა ვინ აშენდა?!
სრულ ციერთა დაბინდებად შენგან კიდევ ვინა შენდა?!ნ
არ გაუშვეს ცეცხლში შეჭრად, თავსა ქვითა მინაშენდა.

200

პირს აჰხადა, მათ უჩვენა შუქნი მზისა დავსით დ შრეტად,
ყელა დაწვა სიბრალოლმან, იგ ტიროდეს მეტის-მეტად:
-მვის გინახავსთ ამისებრი, სრულად ნახეთ, მოდით ჭვრეტად,
აწ ჩაგვქოლეთ დედ-მამანი, ქვა დაგვკრიბეთ თავსა კეტად!ნ

201

საწუთროს მანათობელად მოსთქმიდა სოფლის მზეობით,
სამოთხის ნერგად ნორჩისა, ტან-ალვა, სარო-ხეობით;
- მვის რა ჰყოლია შენთანა ან პირველ, ან დღეს- დღეობით,

ვინ და რას გვარგებს საწყალთა, ჩვენ შვილად ანუ ძეობით!ნ

202

მათასის ჭირით გაგზარდე სათუთად, ალვა-ზრდილობით,
ყელი და ყური დ მთიები, პირი დ მნათობი ჭვირობით,
ზედ-სალოცავად მიმაჩნდი, არ თუ გიჭვრეტდი შვილობით,
მიხვალ, დაშვენდეს სამოთხე, ახლა აყვავდეს შლილობითნ.

203

მშენ სურნელი მუშკ-ხათაი, თუმბუთური მონაბერი,
ვით ჩაგაგდო მიწაშიგან ბროლ-ლალ-მინა-ძოწ-გიშერი!
გაგიცუდებს პირსა-მზესა, დაგეყრების მიწა-მტვერი,
დაგილპების მრავალკეცი თმა-სუმბული ამბრის ფერინ.

204

ესე თქვა და მოეხვია, დაბნედილი დაეცა და,
არვინ მისცა, თვარ უნდოდა, გულსა დანა დაეცა და,
განგებითა აღარ მოკვდა, თვით სიკვდილსა დაეცადა,
მას სიცოცხლე აღარ უნდა, სოფლის საქმე დაეცადა.

205

მეფემან ტახტი, გვირგვინი, დროშა, ნაღარა, ქოსებით დ
მოაღებინა ყოველი; - თქვა: მჭირნი მაქვსო ოცებით,
ჩვენ რაღას ვაქნევთ აწ ერთსა, უძეოდ დავიხოცებითნ.
ცეცხლშიგან დაწვა, შეყარა, თვითან ზის ფლას-შემოსებით.

206

თმა აღპარსულმან ნაცარი თავს დაიყარა პეშვებით:
-მთავსა მოვიკლავ უთუოდ, თუ მიშლით, არ მომეშვებითნ;
ორმოსა ჩაჯდა, იტყოდა: მმზეს აღარ ვნახავ მე შვეებით,
იგ არ დამარხოთ უჩემოდ დ მე მოვექცევი ქვეშებით!ნ

207

არვინ აკლდა, მუნ არ იყო დ ბაღდადამდის ლაზა, ბასრა,
იყო გრგვინვა ტირილისა, პირი სისხლით გაეზასრა,
მათ უნდოდა დასაცემლად გულს ლახვარი, ხმალი ბასრა,
სხვა რა ექნა მუნა მყოფთა, თვარ ჭირითა დაეზას რა?

208

კუბო შეუკრეს მას მზესა, საკაცე დ სანდალ-უდისა,
არ გიკვირს მისი სურნელი, გლახ სული აღარ უდისა?
კივილისა და მოთქმისა ხმა სახლით გამოუდისა,
იყო ზარი და ქვითინი, არ თუ კვრა ჩასტა-უდისა.

209

სამარის თავი დ გუმბაზი შეუმკეს ოქრო-თვალეებით,
ვინც ხედავს დ იწვის დ მას მზესა მიწასა მიმავალეზია:
- მრად გვინდა ყოფნა სოფელსა, და არა დავიმალებით?
ლხინსა მოგვცემს და წაგვართმევს, ვით ნასესხებსა ვალებით!ნ

210

იგი უებრო მნათობი გამოაქვსთ სამარებასა,
უკან მოსდევენ დედ-მამა, ვა მათ მგზავრობა-რებასა!
ენა ვერ ამბობს უკლებლად მათსა ვაება-ტყებასა,
იხვეწებიან სიკვდილსა, დაქოლვა, ქვა-დაკრებასა.

211

ციერნი ხედვენ, იგლოვენ, მზემან ჩაიცვა შავები:
-მ რად არ გეწყალვის სამიწოდ, - თქვეს დ რა უც დანაშავებინ,
ხელთ გამოგლიჯეს, მშობელთა ჰქონდათ უი და ვაები,
დაფარეს იგი მნათობი მიწით გარ-მონაცავები.

212

დავეარდი სოფლის საგმობლად, დავიწყებ სამდურავებსა,
მისგან ნაქმარსა ჩვენზედა ვინ იცის, ვიტყვი რაებსა,
არ შეგვიწყალებს საკვდავად, ვით დასაკლავად კრავებსა,
ბროლ-ვარდსა, მინას- ქარვად და ლალსა გვიდარებს სრავებსა.

213

ფუ მას, რომელი მიენდოს, ან გულით დაეზავების,
ტახტზედ მჯდომი ანაზდად მოკვდების, გაეტყავების,
მარცხნით წავა, თუ მარჯვენით, თიკანია თუ კრავების,
ოხრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი სრავების.

214

ჯერ დაბადებს უებროსა, ტურფად რამე მონაშენსა,
მოასურვებს ყოვლსა მისთვის, მას უჩვენებს მონაშენსა,
იგ ანაზდად გაუცუდებს, მით ჰყოფს ლახვარ-მონაშენსა,
არ გაარჩევს მიცირე-დიდსა, უფალსა, თუ მონა შენსა.

215

პირველ სიტყვაზე მოვიდეთ, თუცა არ სმენად ამებად,
არვის გაუშვებს სოფელი, ბოლოს არ დაუშხამებდა.
საფლავზე დადგენ მშობელნი, სანთელს უნთებენ, შამებ და,
თქვეს: მმიგვეფარა ნათელი, ჩვენი დღე მისთვის ღამებადნ.

ლეილის დედისაგან მაჯუნუნის გამჟღავნება
ლეილის სიკვდილისა

216

მოაღებინა ქალისა პერანგი, თავსაბურავი,
ეკონებოდა საწყალი, სისხლის ცრემლშიგან მცურავი,
თქმა: მდმერთო, სიცოცხლისათვის ვარ ერთობ შენი მდურავი,
შენთვის გინდოდა დ წამართვი იგი მზე შესაშურავინ.

217

მხარს გარდიკიდა, წაილო თავ-მოხდით, ფეხ-შიშველამან,
თქვა: მწავალ, დავწო მაჯნუნი ცეცხლითა დასაწველამან,
მისმან მიზეზმან მომიკლა, ესე მანც იცის ხელამან,
ეგების მხეცთა შექამონ, ლომ-ვეფხთა, ტურა, მელამან!ნ

218

რა მაჯნუნმა დედოფალი ნახა მისკენ მიმავალი,
მას მხევალნი ხელს ეკიდნეს, ხადუმნი ჰყვა წინ მავალი,
გაუკვირდა, ეგრა ნახა, მოეგება განამკრთალი,
ჰკითხევდა, თუ : მრა მოხდაონ, გოაცებით იგ საწყალი.

219

ეტყოდა: მჩემი ლეილი მოკვდა, სამოთხეს წავიდა,
შენმან სევდამან მომიკლა, დღე მოუვიდა შავი და,
იგი ბრწყინვალე ეთერი ველარა ნათობს, ჩავიდა,
ბერი საწყალი მშობელი დამაგდო დასაწვავი დან.

220

რა მანჯუნმან ეს ამბავი მოისმინა დია ძნელად,
ვით ჰმართებდა, გულსა ცეცხლი მას მოედვა ართ თუ ნელად,
დაბნდა, იქმნა, ვითა მკვდარი, სული უნდა წასაგვრელად,
თქვა: მწავიდე, მეც მუნ მოვკვდე, ვისთვის და ვარ ხელი ველად?ნ

221

გამოულო მას პერანგი, დაეკონა, სულთ ებრძოდა,
ვით ფურცელი ქარისაგან, თავ-ბოლომდი თრთოდა, კრკოდა;
მე ვერა ვთქვა ნათალი, თუ რა ჭირნი დაერთოდა;
მიისწრაფა საფლავზედან, სული უნდა მიერთო და.

222

მიიწივნეს სამარხოსა, ტირან, ყვირან, არ თუ მღერდეს,
მუნ შემოკრებს სრულ არაბნი, ტიროდეს და ხელს უჭერდეს,
სისხლის ცრემლი ქვაზე წრთოდეს, მათსა ჭირსა დაუწერდეს,
კუბოზედან ეხვეოდეს, თავს აწყვეტდეს, ზედ უბგერდეს.

223

მოთქვა მაჯნუნმან ლეილი, სალაპარაკოდ ავარდა,
მის საბრალოსა სისაწყლე ენამ ვერა თქვა, დავარდა,
-მმზეო, ჩასულხარ მიწასა, არ გიკვირს მე სად ვარ და,

რასთვის დააგდე უშენოდ, ვინც შენთვის ველად გავარდა?ნ

224

მმეტ იყავ ყოვლთა სულდგმულთა, მეც მისთვის მეტად ვხელობდი,
ტახტზედან იჯე შვენებით, მე მაშინც ცეცხლში ვმწველობდი,
მხეცთანა ვიყავ გაჭრილი, სისხლის ცრემლითა ვსველობდი,
რად არ შემჭამეს ლომ-ვეფხვთა, თურმე ამ დღესა ველოდი!ნ

225

მჩემსა ხელმქნელსა, ყოველთა იცით, რომ მზე ვერ უდარდა;
ოთხ ყურეს კიდიო-კიდემდის იგ უნათლებდა, უდარდა;
მისთვის გავიჭერ, ფრინველნი თავზედან დამიბუდარდა,
მასუკან დავრჩი ცოცხალი, გლახ, იგი გამისუდარდან.

226

მრად არ გამგზავნე სამოთხეს შენ უწინ მახარობელად?
მეთქვა თუ: «მოვა ლეილი აქ თქვენად შემამკობელად
თქვენ დაგაშვენოს, აქამდი იქ იყო მანათობელად».
სამახარობლო მეშოვნა ამა ამბისა მბობელადნ.

227

საფლავზედან მოეხვია, ამის მეტი არა თქო და,
მას უკანით მას სიცოცხლე არ უნდოდა, არ ემხროდა.
აქ გათავდა მისი საქმე, ნახეთ, სული აღმოჰქროდა,
უკვირთ, მკვდარი ვერ გაჰყარეს, კუბოზედან შემოჰკროდა.

228

თქვეს: მთუ ეს ამას გავჰყაროთ, ცოდვა მოგვხდების, ბრალეები!ნ
გვერც მოუწვინეს იგ მისგან დამწვარი, დანავალები,
ვაი, რა ავს დროს შეჰყარეს იგ ტურფა სიძე-რძალები!
გამტვერდა მინა, ვარდი და ნარგისნი მოცინარები...

**ლეილის სიკვდილის უკან დედ-მამათაგან სიზმარში
ლეილისა და მაჯნუნის სამოთხეში ნახვა**

252

ლეილის შავთა მშობელთა სიზმარი ნახეს მწოლეთა,
ზე ნაცარ-მტვერზე მგორეთა, არ თუ ტურფათა მოლეთა,
სისხლის ცრემლისა ტბაშიგან მუდამ ცურევდა გოლეთა,
გამოიღვიძეს საწყალთა თავით ფერხამდე მთრთოლეთა.

253

მათ ნახეს უცხო სამყოფი ქებად შეუძლო ენათა,
მზისგან უმცხინვარესად იგ არე რამე ენათა,
არის რამ მგზავსი მთვარეთა, გვანდა რამ საქმე ზენათა,
ფშვა რამე სულნელებისა საყნოსლად მონაბერეთა.

254

წალკოტთა უმშვენვარესი ბალთ უტურფესი ბაღები,
ყვავილთა ალვად ბიბინი, ფერად ფერადად დაღება,
ზარხოშად წახრა-მოდრეკა, სანდომად თავთა დაღება,
ზედა ფრინველთა ამო ხმა უწყვეტლად, არ სულ დაღება.

255

გარემოს ზღუდედ გათლილი მართლად ზურმუხტი კლებული,
კარნი ოთხს ალაგს ოქროსი, შიგან სხდეს თვალნი ქებული,
ხე მართლა იაგუნდისა, ძირ-აღმა თავ-კიდებული,
შტოზედან ესხა ხშირ-ხშირად ლალ-მარგალიტი კრებული.

256

კოშკები ტურფად მაღალი სრულად აღმასით შენოდა,
თუ არის ცუდი სახლები, იგ ნუ გგონია შენ ოდა!
წვერზედ სხდეს ფარშავანგები უფრთხვენლად, არ თუ შენოდა,
მათი ნათქვამი ეს არის, მე ვით გარწმუნო შენო და.

257

ფარშავანგზედ სხდეს მუნ მყოფნი ყოველნი ცხონებულები,
ფრინვით სერნობდენ ხე-და-ხე, ვის ვისთან სთქმოდეს გულები;
ტანნი სპეტაკით მოსილნი, თავზედან ნათელ დგმულები,
როგორც ქადაგა ეს მართლა, ისემც უცხონდა სულები!!

258

საჭმელად ხორცნი შემწვარნი მუნ მსხდომთა ფრინველისანი,
ხილნი ტკბილნი და ტურფანი მგზავსნი მის ადგილისანი,
ჯამ-ტაბაკები ნათლისა, ხისაგან არ ნათლისანი.
კიდევცა ჰფერობს სამოთხეს დ ამას არ უნდა მისანი.

259

წინ მოერთმოდეს საჭმელი, ოდეს ვის მოემშეოდეს,
იგ ოფლად გამოუვიდის, მუშკთა ამბარი რეოდეს,
ძვალმან ფრთა-ხორცნი შეისხის, გამთელდეს, რაც რომ ხეოდეს,
ფრინვით კვლავ ზედან შესხდიან, იგ საცა იყვის ხე ოდეს.

260

უთქვამს თუ: ოთხი მდინარე მას ადგილს გამოდიანო,
მოუკლებელად, უწყვეტლად ჩქარა, არ თურე გვიანო,
წყალი, რძე, თაფლი და ღვინო, რომელსა ქავსარ ჰქვიანო,
რომელსა უნდეს მათგანი, მუნ მყოფთა იგი სვიანო.

261

ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწევსა,

იგ დაფარულნი ასონი დ უთქვამს დსამ წყრთამდი უწევსა,
მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბვისა - ფუ წვერსა!!

262

მათს ფელამბარსა სამოთხე მუსაფში ესრეთ უქიან;
ქალებსა- ჰური, ფერი და ვაჟებსა დ ყილმან უქვიან,
ნდომა არ მოაკლდებისო, მათთან ალერსი თუ ქმნიან,
ეგზომნი სულნი ვით ჯერან, მიკვირს დ არ გაუქიქიან!!

263

როს ადამ შექმნა უფალმან დ უთქვამს დ იქ მიიყვანო,
ანგელოზთ დასნი და გუნდნი სრულად მას ათაყვანო,
იგი მით მცნებას გარდაჰხდა, ხორბალი ჭამა, ყანაო,
სამოთხიდანე გააგდო, ფიცხლავ გარ გაიყვანაო.

264

მუნ შიგან ნახეს ლეილი მაჯუნთან დედა-მამათა,
თავსა ბრწყინვალე გვირგვინი, ტახტი შეემკო, სრა, მათა,
ხელთ ჰქონდათ თასი ღვინისა, ტკბილად სმენ, არ თუ შხამათა,
ჭირთაგან ნააზატები სევდას ვერ დაეშამათა.

265

მათ ერთად სხდომა ჰშვენოდა მათ შესაფერთა არეთა,
ქვე-მარგალიტი შეემკოთ, ზე ლალი მოცინარეთა,
შემოუზღუდათ მეღნის ტბა გარე გიშრისა სარეთა,
ეტყოდა რასმე დედ-მამათ ყვედრებით საუბარეთა.

266

უთხრა. თუ: მძე ვარ ლეილი, ეს დ მაჯუნ ჩემთვის ხელები,
მუნ არ გვამყოფეთ ჩვენ ერთად, მით გვწვიდა ცეცხლი ცხელები,
ცოდვა არ იყო ჩვენ შუა, არ საქმე საკიცხელები,
აქ მან შეგვყარა, წყალობა ვის აქვს აურაცხელებინ.

267

მუწყოდეს ღმერთმან მოწყალემ დ არ ბრალი გვექონდა, ბილწობა,
მუნ უზაკველი სურვილი, არ ცუდი გოგო-ბიჭობა,
იქ უსამართლოდ წაგვიხდა ჩვენ კბილთა მარგალიტობა,
აქ მოგვცა მოსამართლემან ერთმანეთისა ჭკრიტობან.

268

გამოაღვიძა იგინი შიშმან და სიხარულამა;
მათ საყვარელი უჩვენა ერთის წამისა რულამა,
იგ მოაწვივნეს დ უამბეს- სრულ შიხნი, მოლა, ულამა,
ტიროდეს, დაწვნა ყოველნი მუნ მათმა სიბრალულამა.

269

რალას არგებდათ, შეექმნათ ერთმანეთისა ბრალობა:

- მარ შევყარენით იგ ერთად ღაწვი ვარდ-ბაგე-ლალობა,
გვექნა დ არ წაუხდებოდათ მათ ტურფა ვაჟობ-ქალობა,
ჩვენსავე თავსა იყოსო ჩვენი ცოდვა და ბრალობან.

270

სიტყვათა შეთხზვნა-შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია,
თვარ უწყის ღმერთმან დ უსმენლად არა რა მომიგონია,
თქმა სჯობს, ვის ენა რიტორობს, ჰქონდეს მახვილი გონია,
უცხო, ტკბილ ბრძენთა ამბავთა ვერც ვარდი სჯობდეს, მგონ ია